ვებ-ჰოსტინგის მომსახურების ხელშეკრულება №

4 ნოემბერი 2013 წელი

ქ. თბილისი

I. ხელშეკრულების მხარეები ერთის მხრივ ააიპ "ქ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე " (იურიდიული მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 103) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ ანდღულაძის სახით, შემდგომში „შემკვეთი" და შპს "კავკასუს ონლაინი" (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71, ს/კ 211380833). მისი გენერალური გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ჭიაურელის მინდობილი პირი ლიანა მუსერიძის სახით, მინდობილობის NN01-10/088 საფუძველზე.

შემდგომში „შემსრულებელი"

ხელშეკრულების ტექსტში ორივე ერთად წოდებულიოგორც "მხარეები"

I. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "მომსახურების ხელშეკრულება" – დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დად ებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „დამკვეთი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს დაკვეთას.

1.3 „შემსრულებელი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4 "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" "წელიწადი" – კალენდარული დღე, კვირა, თვე, წელიწადი.

1.6 „მომსახურება" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 "გიგაბაიტი" – კომპიუტერული მეხსიერების ან მონაცემთა ბაზის ნაწილი , რომლის ტევადობა 1024 მეგაბაიტის (2^{30} ბაიტი) ტოლია.

1.8 "ტრაფიკი"– მონაცემთა მიმოსვლა ინტერნეტში,ერთი ქსელიდან მეორეში გადაცემული ბაიტების რაოდენობა დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

1.9. „ინტერნეტ გვერდი"– დამკვეთს კუთვნილი დომენური სახელის ქვეშ არსებული გვერდების ინტერფეისი, ფუნქციები და შინაარსი, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტის მომხმარებლებისათვის.

1.10. „ვებ სივრცე"– ვებსაიტისთვის ინტერნეტთან მუდმივად დაკავშირებულ სერვერზე გამოყოფილი მეხსიერების რაოდენობა.

1.11 „საფოსტო ყუთი"–კომპიუტერული ფაილები რომლებიც ემსახურებიან ელექტრონული საფოსტო შეტყობინებების შეგროვებასა და შენახვას.

1.12." წერილობითი შეტყობინება"– ნებისმიერი შეტყობინება წერილობითი ფორმით რომელიც გაგზავნილია ერთ–ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის საფოსტო ან ელექტრონულ საფოსტო მისამართზე.

1.13. „დაუშვებელი პროდუქცია" – ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცმყოფელი, უდანაშაულობის

პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლბის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია.

1.14. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი" - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილება #3-ით 2006 წლის 17 მარტს დამტკიცებული ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი.

III. ხელშეკრულების საგანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის დანართში #1 მითითებული მომსახურების გაწევა და მისი ტექნიკური უზრუნველყოფა.

3.2. მომსახურების ტექნიკური უზრუნველყოფა მოიცავს: დამკვეთის ინტერნეტ გვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მომხმარებლებისათვის, დამკვეთის ინტერნეტ გვერდის უსაფრთხოებაზე ზრუნვას, დამკვეთის ვებსაიტზე გამოყოფილი ტრაფიკის ფარგლებში ატვირთვებისა და ჩამოტვირთვების სისტემის გამართული მუშაობისათვის ზრუნვას, საფოსტო ყუთის გამართულ მუშაობაზე ზრუნვას შემსრულებლის ტექნიკური შესაძლებლობებისა და კეთილგონიერების ფარგლებში.

3.3. მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების ჩართვა (დამკვეთისათვის მომსახურების გაწევის დაწყება) განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან 3 დღის ვადაში.

IV. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ძალაში შესვლის პირობები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით **2014 წლის 4 ნოემბრის წელი ჩათვლით.**

V. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება **შეადგენს 65 (სამოცდახუთი)** ლარს წელიწადში.

5.2 დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდა უნდა განხირციელდეს ავანსის სახით წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე. გადახდა უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: შპს "კავკასუს ონლაინი", ს/კ 211380833, სს თიბისი ბანკი ა/ა GE21TB1189136020100008, ბანკის კოდი: TBCBGE22.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 *<u>დამკვეთს უფლება აქვს:</u>*

6.1.1. მოსთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

6.1.2. საკუთარი შეხედულებისამებრ ისარგებლოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით კალენდარული დღის ნებისმიერ მონაკვეთში;

6.1.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გამოიყენოს ნებისმიერი მიზნებისათვის, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

6.1.4. დამკვეთს უფლება აქვს ინტერნეტ–გვერდის შინაარსობრივი და გარეგნული მხარე აკონტროლოს მხოლოდ თვითონ, შემსრულებლისა და სხვა მესამე პირების ჩარევის გარეშე.

6.1.5. დამკვეთი უფლებამოსილია წერილობით მოსთხოვოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულების თანახმად კონკრეტული თვის განმავლობაში ფაქტობრივად მიღებული მომსახურების შესახებ ინფორმაცია. შემსრულებელი ვალდებულია, შესაძლებლობებიდან გამომდინარე კეთილგონიერების ფარგლებში, ამგვარი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, რაც არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათ) სამუშაო დღეს, წერილობით მიაწოდოს დამკვეთს ამგვარი ინფორმაცია. ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების თანახმად მომსახურების ფაქტობრივი ფარგლების დადგენასთან დაკავშირებული უთანხმოების გადაწყვეტაში მხარეები გამოიყენებენ მსოფლიოში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესაბამის სამსახურს (მათ შორის მონიტორინგის სამსახურს) დახმარებისათვის.

6.2 *<u>დამკვეთი ვალდებულია:</u>*

6.2.1. გაეცნოს და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების წესები და პირობები;

6.2.2. დროულად მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდა;

6.2.3. შემსრულებელს შეუქმნას სათანადო პირობები მასზე დაკისრებული მოვალეობის სათანადოდ შესრულების უზრუნველსაყოფად;

6.2.4. არ მოახდინოს რეკლამის, ინფორმაციის ან სხვა მასალების გადაცემა ინტერნეტის სხვა მომხმარებელთათვის ასეთი მასალების ადრესატების თანხმობის გარეშე, როგორც ელექტრონული მისამართების, ისე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული გამოცემების და კონფერენციების მეშვეობით, რომლებიც არ არის განკუთვნილი ამ მიზნისათვის;

6.2.5. არ მოახდინოს არასანქცირებული შეღწევა ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში;

6.2.6. დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნები ინტერნეტ–გვერდის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით, კერძოდ, არ დაუშვას დაუშვებელი პროდუქციის გავრცელება ინტერნეტ გვერდიდან, დაიცვას არასრულწლოვნების მიერ ინტერნეტის მოხმარებასთან საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვები.

6.2.7. განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6.3 *შემსრულებელს უფლება აქვს:*

6.3.1. მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.3.2. უარი განაცხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებაზე თუ:

- დამკვეთი არ ითვალისწინებს მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს ან დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს;
- დამკვეთი იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს სატელეკომუნიკაციო საშუალებები არაკანონიერი მიზნებისათვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს მომსახურება.

6.4 *შემსრულებელი ვალდებულია:*

6.4.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული მომსახურების უზრუნველყოფა წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან;

6.4.2. უზრუნველყოს დამკვეთის ვებსაიტის საჯარო ხელმისაწვდომობა მომხმარებლებისათვის ყოველ 24 საათიან პერიოდში დროის მინიმუმ 95%-ის განმავლობაში სრულად, ყოველ 7 დღიან პერიოდში დროის მინიმუმ 98%-ის განმავლობაში სრულად და ყოველ 30 დღიან პერიოდში დროის მინიმუმ 99%-ის განმავლობაში სრულად.

6.4.3. დაიცვას დამკვეთის ვებსაიტი არაავტორიზებული შეღწევისაგან რამდენადაც ეს მის შესაძლებლობებში შედის და ნებისმიერი მისთვის ცნობილი უსაფრთხოების დარღვევის ან შესაძლო დარღვევის შემთხვევაში სასწრაფოდ აცნობოს დამკვეთს.

6.4.4. ყოველდღიურად გააკეთოს დამკვეთის ვებსაიტის სრული სარეზერვო ვერსია, და ყოველი თვის პირველ რიცხვში და ასევე დამკვეთის გონივრული მოთხოვნისას გადასცეს მას ვებსაიტის სრული ელექტრონული ასლი.

6.4.5. დროის რაც შეიძლება მოკლე მონაკვეთში აღმოფხვრას დაზიანება, რომლის შედეგად დამკვეთს შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება და რომლის აღმოფხვრის ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის შესაბამისად ეკისრება შემსრულებელს.

6.4.6. დამკვეთის ინფორმირებისა და დამკვეთისათვის ზიანის მიყენების პრევენციის მიზნით პერიოდულად გამოაქვეყნოს თავის ვებ გვერდზე (www.co.ge) ინფორმაცია ვებ სივრცეში გავრცელებული ვირუსებისა და დამკვეთის ინფორმაციისათვის / მონაცემებისა და ქსელისათვის საფრთხის შემცველი სხვა საშუალებების შესახებ. მხარეები დამატებით ადასტურებენ და თანხმდებიან, რომ ვირუსებისა და ამ პუნქტში აღნიშნული სხვა საფრთხის შემცველი საშუალებებისაგან სრულყოფილი დაცვა პრაქტიკულად არის შეუძლებელი, შესაბამისად, აღნიშნული მიზეზით დამკვეთისათვის მიყენებულ რაიმე სახის ზიანზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება შემსრულებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ზიანი დადგა შემსრულებლის ბრალეული ქმედების შედეგად.

6.4.7. დამკვეთის ინფორმირების მიზნით გამოაქვეყნოს თავის ვებ გვერდზე (www.co.ge) და დროულად განაახლოს ინფორმაცია შემსრულებლის მიერ შეთავაზებული საკომუნიკაციო

მომსახურების სახეებისა და ტარიფების შესახებ, აგრეთვე, დეტალური ინფორმაცია მომსახურების ტარიფებისა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სხვა პირობების ცვლილებების შესახებ.

VII. მომსახურების მიწოდების პირობები და მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება შემსრულებლის მიერ ხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეუფერხებლად, ამ ხელშეკრულების 6.4.2 მუხლით განსაზღვრული გარანტიების დაცვით. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში, მათ შორის მომხმარებლისგან დამოუკიდებელი მიზეზით (სარემონტო სამუშაოები, გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები, კაბელის დაზიანება და სხვა), მომსახურების მიწოდების შეფერხებისას, შემსრულებელი ვალდებულია შესაბამისი სახის დაზიანება აღმოფხვრას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით დადგენილი ვადების შესაბამისად.

7.2 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას დამკვეთის ინფორმირებისა და დამკვეთისათვის ზიანის მიყენების პრევენციის მიზნით პერიოდულად გამოაქვეყნოს თავის ვებ გვერდზე (www.co.ge) ინფორმაცია ვებ სივრცეში გავრცელებული ვირუსებისა და დამკვეთის ინფორმაციისათვის / მონაცემებისა და ქსელისათვის საფრთხის შემცველი სხვა საშუალებების შესახებ. მხარეები დამატებით ადასტურებენ და თანხმდებიან, რომ ვირუსებისა და ამ პუნქტში აღნიშნული სხვა საფრთხის შემცველი საშუალებებისაგან სრულყოფილი დაცვა პრაქტიკულად არის შეუძლებელი, შესაბამისად, აღნიშნული მიზეზით დამკვეთისათვის მიყენებულ რაიმე სახის ზიანზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება შემსრულებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ზიანი დადგა შემსრულებლის ბრალეული ქმედების შედეგად.

7.3. დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროს და დადგენილი წესით თანხის გადაუხდელობა იწვევს დამკვეთის დაჯარიმებას ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.01% ით. თუ დამკვეთი 30 დღის განმავლობაში არ შეასრულებს სრულად ამ ვალდებულებას, მაშინ შემსრულებელი უფლებამოსილია შეუწყვიტოს მას მომსახურების მიწოდება თანხის სრულად დაფარვამდე.

7.4. დამკვეთის ინტერნეტ–გვერდების შინაარსთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება მთლიანად დამკვეთს, მას შემდეგ, რაც შემსრულებელი განახორციელებს მასზე ამ ხელშეკრულების მე–6 მუხლით დაკისრებულ ვალდებულებებს, და დამკვეთი ამისდა მიუხედავად არ აღმოფხვრის ინტერნეტ გვერდზე დაუშვებელი პროდუქციის გათავსებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს.

7.5. დამკვეთისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (სარემონტო სამუშაოები, გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები, კაბელის დაზიანება და სხვა) მომსახურების მიწოდების შეფერხებისას, როდესაც მომსახურების შეფერხება სცილდება ამ ხელშეკრულების 6.4.2 მუხლით დადგენილ მომსახურების ხელმისაწვდომობის გარანტირებულ ზღვარს, შემსრულებელი ვალდებულია მომსახურების არასაპატიოდ შეფერხების მთლიანი დროის განმავლობაში შეაჩეროს მომსახურების ღირებულების დარიცხვა და მოახდინოს დამკვეთის სასარგებლოდ მომსახურების საფასურის გადახდის ვადის პროპორციული გადაწევა, ან დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მომსახურების საფასურის პროპორციულად შემცირება.

VIII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

IX. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

9.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ფორმით ორივე მხარის ხელმოწერით, თუ დამკვეთი იურიდიული პირია.

9.2 შემსრულებელი ვალდებულია, მომსახურების წესებსა და პირობებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ შეატყობინოს დამკვეთს სულ მცირე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე მისთვის ხელმისაწვდომი გზით: შემსრულებლის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე, www.co.ge, ინფორმაციის გამოქვეყნებით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ფორმით.

9.3. შემსრულებელს აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების პირობები. ყველა შემთხვევაში ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილების შესახებ დამკვეთს უნდა ეცნობოს სულ მცირე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

X. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

- მხარეთა წერილობით შეთანხმება;
- წინამდებარე ხელშეკრუბის 4.1 მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლა;
- ერთი-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულისხვა საფუძვლების არსებობა.
10.2 თიოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, რის შესახებაც წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა.

XI. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ყველა საკითხი, მხარეთა შეთანხმებით მოწესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა დავას, უთანხმოებას და პრეტენზიას მხარეები წყვეტენ ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დამკვეთს შეუძლია ერთჯერადად მიმართოს შპს „კავკასუს ონლაინის" დავების განმხილველ სამსახურს, რომელიც, არის მისი შიდა ფუნქციური ორგანო. მხარეებს, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

XII. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი დამკვეთისა ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
12.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.
12.4 ფორს მაჟორული გარემოებების პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი გრძელდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტი დროით, თითოეულ მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ხელშეკრულების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ელექტრონული ფოსტით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა მხარეების მიერ მომხმარებლის პირველადი რეგისტრაციის დროს.

XIII. დასკვნითი დებულებები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიუდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.
13.2 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას.
13.3 ის საკითხები, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს შორის და რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
13.4 მხარეებმა წავიკითხეთ წინამდებარე ხელშეკრულება, იგი ზუსტად გამოხატავს ჩვენს ნებას რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

<u>დამკვეთი</u>

ააიპ "ქ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე

მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 103

ტელ: 2959473

მობ:

ს/კ 202056069

მაილი: **meko@bigsale.ge**

webmaster@bigsale.ge

დირექტორი

თამაზ ანდღულაძე

<u>შემსრულებელი</u>

კავკასუს ონლაინი

გენერალური დირექტორის ლევან ხუნდაძის მინდობილი პირი

ლიანა მუსერიძე

იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას #71

ტელეფონი: **(995 32) 20 00 00**

ფაქსი: **(995 32) 20 00 01**

ს/კ 211380833

ა/ა: **GE21TB1189136020100008**

ბანკი: თიბისი ბანკი

ბანკის კოდი: **TBCBGE22**

50MB ვებ სივრცე

10 საფოსტო ყუთი (folklorissasaxle.ge)

65 ლარი წელიწადში

10 გბ ტრაფიკი თვეში

<u>დამკვეთი</u>

ააიპ "ქ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე

მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 103

ტელ: 2959473

მობ:

ს/კ 202056069

მაილი: **meko@bigsale.ge**

webmaster@bigsale.ge

დირექტორი

თამაზ ანდღულაძე

<u>შემსრულებელი</u>

კავკასუს ონლაინი

გენერალური დირექტორის ლევან ხუნდაძის მინდობილი პირი

ლიანა მუსერიძე

211380833

იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას #71

ტელეფონი: (995 32) 20 00 00

ფაქსი: (995 32) 20 00 01

ს/კ 211380833

ა/ა: **GE21TB1189136020100008**

ბანკი: თიბისი ბანკი

ბანკის კოდი: **TBCBGE22**

ხელშეკრულება № STU039/13/01
GE დომენური სახელის რეგისტრაციისა და მისი მომსახურების შესახებ
(72417000 - დომენური სახელები)

ქ. თბილისი 19 ნოემბერი, 2013 წელი

ერთის მხრივ ააიპ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე, წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ ანდღულაძის სახით შემდგომში ხელშეკრულების ტექსტში შემსყიდველად წოდებული და მეორეს მხრივ, შპს "კავკასუს .GE დომენის ადმინისტრატორის ია ფერაძის სახით (შემდგომში ხელშეკრულების ტექსტში მიმწოდებლად წოდებული) ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

folklorissasaxle.ge (რეგისტრაციის თარიღი: 19 ნოემბერი, 2013) დომენური სახელის შემსყიდველისთვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და „GE დომენის რეგისტრაციის წესებისა და პირობების" (როგორც ეს გამოქვეყნებულია საიტზე www.nic.net.ge) შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით დროებით სარგებლობაში გადაცემა.

მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი განისაზღვრება 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. მომსახურების აღწერა

მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველს მომსახურებით რომელიც გულისხმობს შემდეგს: ახორციელებს ინტერნეტის საერთაშორისო ქსელში დომენის რეგისტრაციას / რეგისტრაციის გაგრძელებას შემდეგი სახელით: **"folklorissasaxle.ge"** და უზრუნველყოფს მის აქტიურობას 2014 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. მომსახურების ღირებულება და გადახდის წესი

4.1. შემსყიდველი მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების პირველ და მესამე მუხლებში აღნიშნული მომსახურებისათვის უხდის 30 (ოცდაათი) ლარს.

4.2. შემსყიდველმა მომსახურების ღირებულება უნდა გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 25 კალენდარული დღის განმავლობაში. გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების (გადარიცხვის) ფორმით, და უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:
შპს "კავკასუს ონლაინი", საიდენტიფიკაციო კოდი: 211380833, სს თიბისი ბანკი
ა/ა GE21TB1189136020100008, ბანკის კოდი: TBCBGE22

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1.1. **შემსყიდველს უფლება აქვს:**
მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.1.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**
ა) გაეცნოს და შეასრულოს GE დომენის რეგისტრაციის წესები და პირობები (www.nic.net.ge);
ბ) ყოველწლიურად, დროულად მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა ხელშეკრულების მეოთხე მუხლში დადგენილი ოდენობით და წესის შესაბამისად;
გ) მიაწოდოს მიმწოდებელს სარეგისტრაციო ინფორმაციის განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია (www.nic.net.ge);

5.2.1. **მიმწოდებელს უფლება აქვს:**
მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს შემსყიდველს კონსულტაცია დომენური სახელის რეგისტრაციის პროცედურის შესახებ;

ბ) განახორციელოს დომენური სახელის რეგისტრაცია ან რეგისტრაციის გაგრძელება GE დომენის რეგისტრაციის წესებისა და პირობების დაცვით (www.nic.net.ge);

გ) უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება.

მუხლი 6. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მომსახურების შემოწმება/კონტროლი. თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება შემსყიდველი უფლებამოსილია წარუდგინოდს მიმწოდებელს დასაბუთებული "წუნდების აქტი", რის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 3 დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნდების აქტში მითითებული ხარვეზები;

6.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურება მიღებულად ითვლება, თუ არაა წარდგენილი ამ ხელშეკრულების 6.1. მუხლით განსაზღვრული წუნდების აქტი.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

7.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

7.1.1. მხარეთა შეთანხმება;

7.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. მუხლით დაწესებული ვადის გასვლა.

7.1.3. კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

7.2.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, რის შესახებაც წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს სულ ცოტა (30 კალენდარული დღით) ადრე;

7.2.1.2.. ხელშეკრულება ვადამდე შემსყიდველის ინიციატივით წყდება, თუ:

ა) მიმწოდებელი ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

ბ) არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ სამართალმდგომარეობებს.

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.2.1.3. ხელშეკრულება ვადამდე მიმწოდებლის ინიციატივით წყდება:

ა) შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

მხარეთა შორის ყველა დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმე გადაეცემა სასამართლოს. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ნორმები.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიანად შეუსრულებაზე, თუ ეს გამოწვეულია გაფიცვების, ომის, წყალდიდობის, ხანძრის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად

მუხლი 10. ხელშეკრულების სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე - 2 (ორ) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. თითოეულ მხარეს მიეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლიარი.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

10.3. საკითხები, რომლებიც წარმოშვებიან წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს შორის და რომელთა რეგულირებაც არ არის მოცემული ხელშეკრულებაში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ხელშეკრულების მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად.

10.5. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

10.6. მხარეებმა წავიკითხეთ წინამდებარე ხელშეკრულება, იგი ზუსტად გამოხატავს ჩვენს ნებას და მოვაწერეთ მას ხელი.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ააიპ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე	შპს "კავკასუს ონლაინი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 202056069	საიდენტიფიკაციო კოდი: 211380833
მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ.103	მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 71
ტელეფონი: +(995 32) 2959473	ტელეფონი: 2970037
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი
	ა/ა: GE21TB1189136020100008
	, ბანკის კოდი: TBCBGE22

თამაზ ანდღულაძე
დირექტორი

ია ფერაძე
.GE დომენის ადმინისტრატორი
http://www.nic.net.ge/

ქავკასუს ონლაინი